ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1927162

ნომერი: AR1308847

თარიღი : 21.05.2015

გაცემის თარიღი : 01.06.2015

გაცნობის თარიღი : 02.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა გაბინაშვილი პ/ნ 01019017563
- თბილისი ბჟოლეთის ქ. N 8ა

ორგანიზაცია:
- ახალი ნათება კოდი: 202066156

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.03.2015წ. №1750637 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 11/05/2015წ. AR1308847 განაცხადითმომართეს შოთა გაბინაშვილმა, ზურაბ გაბინაშვილმა, ბექაკალანდაძემ და მოითხოვესამავე სამსახურის 05.03.2015წ. №1750637 ბრძანებით დამტკიცებული მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 96-ე მუხლისმოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეგარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 05.03.2015წ. №1750637 ბრძანებით, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის(საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.408), დამხმარე ფუნქციის მქონესაწყობის მშენებლობის მიზნით, დადგენილი იქნამიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

აღნიშნულიმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობისნებართვის გაცემას ადგილიარ ჰქონია.

საჯარორეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის №882014703802, მომზადების თარიღი: 30/12/2014 17:59:47) თანახმად, საპროექტო მიწისნაკვეთი წარმოადგენს შპს„ახალი ნათების“ საკუთრებას.

მეწარმეთადა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადებისთარიღი: B15015033, 26/01/2015 10:12:08) თანახმად, შპს „ახალი ნათების“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენსგენერალური დირექტორი ზურაბგაბინაშვილი.

დღეისათვის, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის05.03.2015წ. №1750637 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარაქვთ აღნიშნული პირობების საფუძველზე, მიწისნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის1–ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივეაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, საპროექტო მიწისნაკვეთის მესაკუთრეს აღარაქვს სამსახურის მიერგაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულიადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტისძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შოთა გაბინაშვილის, ზურაბ გაბინაშვილისა დაბექა კალანდაძის 11/05/2015წ. AR1308847 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.03.2015წ. №1750637 ბრძანებითდამტკიცებული მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილიწესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდანერთი თვის ვადაში.